ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 126

"15" აპრილი 2022 წ.

ქ. თბილისი

სს „საქართველოს ბანკის" (ს/კ. 204378869) საქმესთან დაკავშირებით
რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „სს „„საქართველოს ბანკის" (ს/კ. 204378869) საქმესთან დაკავშირებითრიგი ღონისძიებების გატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 13 აპრილის №22.546.601 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, გააფორმოს მორიგების აქტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სს „საქართველოს ბანკს" (ს/ნ 204378869) და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" (ს/ნ. 202886788) შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 13 აპრილის №22.546.601 განკარგულების დანართი №1-ის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, გააფორმოს შეთანხმება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სს „საქართველოს ბანკს (ს/ნ 204378869), სს „თიბისი ბანკსა" (ს/ნ 204854595) და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" (ს/ნ 202886788) შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 13 აპრილის №22.546.601 განკარგულების დანართი №2-ის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს საქართველოს ბაკის (ს/მ204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს №342 განკარგულება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისის, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

მორიგების აქტი

ქ. თბილისი _____ 2022 წელი

- სს „საქართველოს ბანკი" (ს/ნ: 204378869), წარმოდგენილი [●] სახით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი [●] სახით,
- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" წარმოდგენილი [●] სახით,
- (შემდგომში ერთობლივად - „მხარეები"),
- ვდებთ **მორიგების აქტს** შემდეგზე:

პრეამბულა

- ადმინისტრაციულ საქმეში (საქმე N3/6667-18) სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს:
  - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) ბათილად ცნობა;
  - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" ქმედების განხორციელების დავალდებულება, კერძოდ, სს „საქართველოს ბანკსა" და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის 2017 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების (შემდგომში - **ხელშეკრულება**) მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ყველა კატეგორიის მოქალაქეთა მონაცემების, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებით (შემდგომში - **N6-25 დადგენილება**) გათვალისწინებული მონაცემების, მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფორმით, სს „საქართველოს ბანკისათვის" გადაცემა.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სს „საქართველოს ბანკის" სასარჩელო მოთხოვნა.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ" წარადგინეს სააპელაციო საჩივრები.
- საქმეს განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა (საქმე N3ბ/115-21).

მორიგების პირობები

წინამდებარე **მორიგების აქტის** გაფორმებით, **მხარეები** ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულება (შემდგომში - **განკარგულება**);

2. სს „საქართველოს ბანკს" აქვს **ხელშეკრულებით** მინიჭებული და განსაზღვრული ექსკლუზიური უფლება, **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილების (შემდგომში - **N20-81 დადგენილება**) მე-2 მუხლით დადგენილი, **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ყველა კატეგორიის მოქალაქეთათვის გამოსცეს და მართოს სამგზავრო პლასტიკური ბარათი, რომელიც შესაძლოა დამზადებული იქნეს როგორც **ხელშეკრულებით** განსაზღვრული სატრანსპორტო ბარათის, ასევე, საბანკო პლასტიკური ბარათის ან/და გადახდის სხვა საშუალებების სახით;

3. წინამდებარე **მორიგების აქტის** ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა) გამოსცემს განკარგულებას, **დადგენილების** მე-2 მუხლით განსაზღვრული, **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა სამგზავრო პლასტიკური ბარათების, მათ შორის, სატრანსპორტო და საბანკო პლასტიკური ბარათებისა ან/და გადახდის სხვა საშუალებების ექსკლუზიურად გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილ პირად სს „საქართველოს ბანკის" განსაზღვრის თაობაზე;

4. ამასთან, წინამდებარე **მორიგების აქტის** მე-2 პუნქტით განსაზღვრული, ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამონაკლისის სახით, სს „საქართველოს ბანკი":

   4.1. გონივრულ პირობებზე შეთანხმების საფუძველზე, **N20-81 დადგენილების** მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის (შემდგომში - **პენსიონერები**), მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გასაცემლების გაცემაზე უფლებამოსილ/დელეგირებულ (შესაბამისი ორგანოს მიერ გამოცხადებული კონკურსის ან სხვა ფორმით) კომერციულ საბანკო დაწესებულებას (შემდგომში - **უფლებამოსილი ბანკი**), საშუალებას მისცემს, რომ **უფლებამოსილი ბანკის** მიერ გაცემული საბანკო პლასტიკური ბარათის ან გადახდის სხვა საშუალებების (გარდა სატრანსპორტო ბარათისა, რომლის გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილია სს „საქართველოს ბანკი") მფლობელმა **პენსიონერებმა** ისარგებლონ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში;

   4.2. **უფლებამოსილ ბანკს**, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, საშუალებას მისცემს **ხელშეკრულების** მე-9 მუხლით დადგენილი და სს „საქართველოს ბანკსა" და **უფლებამოსილ ბანკს** შორის დამატებით განსაზღვრული გონივრული პირობების საფუძველზე, ჩაერთოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ღია სისტემაში.

5. სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე **მორიგების აქტის** მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან დაკავშირებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ არ აქვს და არც მომავალში წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება;

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ იღებენ ვალდებულებას, **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, **N20-81 დადგენილების** მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით, **N6-25 დადგენილებით** გათვალისწინებული მონაცემები, მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფორმით, გადასცენ სს „საქართველოს ბანკს“, ხოლო **N20-81 დადგენილებით** განსაზღვრული სხვა კატეგორიის მქონე პირების მონაცემებთან მიმართებით, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყონ სს „საქართველოს ბანკს“ შესაბამისი მონაცემების **N6-25 დადგენილების** მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებისგან მოპოვებაში;

7. ამასთან, სს „საქართველოს ბანკი“, იღებს ვალდებულებას, წინამდებარე **მორიგების აქტის** მე-6 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების მიზნით, წინამდებარე **მორიგების აქტის** ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს **N6-25 დადგენილების** მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ იღებენ ვალდებულებას, სს „საქართველოს ბანკის“ მიერ **N6-25 დადგენილების** მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებისგან ინფორმაციის შეთანხმებული ფორმით მოპოვებამდე, უზრუნველყოფენ შესაბამისი კატეგორიის პირებისათვის სამგზავრო პლასტიკური (სატრანსპორტო) ბარათის დამზადებას და გაცემას;

8. **მხარეებს** შორის აღარ არსებობს ბუნდოვანება **ხელშეკრულების** პირობების განმარტებასთან დაკავშირებით და შემდგომში აღარ ექნებათ პრეტენზია **ხელშეკრულების** პირობების განმარტებაზე;

9. **მხარეებს** არ აქვთ და არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება ერთმანეთის მიმართ:

   9.1. მათთვის **ხელშეკრულებისა** და წინამდებარე **მორიგების აქტის** საფუძველზე მინიჭებულ უფლებებთან, მათ ფარგლებსა და შინაარსთან დაკავშირებით, გარდა **ხელშეკრულებითა** და ამ **მორიგების აქტით** ცალსახად და არაორაზროვნად განსაზღვრული უფლებებისა;

   9.2. რაიმე სახის ზიანის, ზარალის, მიუღებელი შემოსავლის ან/და სხვა თანხების/ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით სასამართლო საქმის (საქმე N3/6667-18) ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნებიდან/სადავოდ გამხდარი აქტებიდან გამომდინარე ან/და მათთან დაკავშირებით.

10. **მხარეებს** შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, მორიგების დამტკიცების გზით. **მხარეები** უარს ამბობენ დავის ფარგლებში ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებაზე და **მხარეებს** არ აქვთ უფლება ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

11. ამ **მორიგების აქტის** პირობების გათვალისწინებით, დავაში არსებულ და მისგან გამომდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებით, **მხარეებს** ერთმანეთის მიმართ, პრეტენზიები აღარ ექნებათ;

12. წინამდებარე **მორიგების აქტის** გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, **მორიგების აქტი**, **მხარეების** ერთობლივი განცხადებით მიმართვის გზით, სასამართლო ადმინისტრაციულ საქმის (სააპელაციო სასამართლოს საქმის N3ბ/115-21) მორიგებით შეწყვეტის მიზნით, წარედგინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მის დასამტკიცებლად;

13. წინამდებარე **მორიგების აქტი** ძალაში შედის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე;

14. **მხარეები** არ გაასაჩივრებენ **მხარეთა** შორის მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინებას და გამოთქვამენ თანხმობას, სასამართლოს განჩინების დაუყოვნებლივ კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე;

15. **მხარეები**, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიმართავენ ყველა ზომას წინამდებარე **მორიგების აქტით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად;

16. წინამდებარე **მორიგების აქტზე** **მხარეთა** ხელმოწერები ფორმდება სანოტარო წესით, 5 (ხუთი) ეგზემპლარად, საიდანაც ერთ-ერთი ეგზემპლარი რჩებათ **მხარეებს,** ერთი ეგზემპლარი - შესაბამის ნოტარიუსს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება სასამართლოს.

სს „საქართველოს ბანკის" წარმომადგენელი _____

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი _____

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" წარმომადგენელი _____

შეთანხმება

ქ. თბილისი _____ 2022 წელი

- სს „საქართველოს ბანკი" (ს/ნ: 204378869), წარმოდგენილი [●] სახით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი [●] სახით,
- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" წარმოდგენილი [●] სახით,
- სს „თიბისი ბანკი", (ს/ნ: [●]), წარმოდგენილი [●] სახით;

(შემდგომში ერთობლივად - **„მხარეები"**, ხოლო სს „საქართველოს ბანკი", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" ერთობლივად - **„ძირითადი მხარეები"**),

ვდებთ **შეთანხმებას** შემდეგზე:

პრეამბულა

- ადმინისტრაციულ საქმეში (საქმე N3/6667-18) სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს:
  - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) ბათილად ცნობა;
  - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" ქმედების განხორციელების დავალდებულება, კერძოდ, სს „საქართველოს ბანკსა" და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის 2017 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების (შემდგომში - **ხელშეკრულება**) მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ყველა კატეგორიის მოქალაქეთა მონაცემების, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებით (შემდგომში - **N6-25 დადგენილება**) გათვალისწინებული მონაცემების, მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფორმით, სს „საქართველოს ბანკისათვის" გადაცემა.
- სს „თიბისი ბანკმა" მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს **საქმეში** N3/6667-18 მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინებით. აღნიშნული განჩინება სს „თიბისი ბანკის" მიერ

გასაჩივრდა კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სს „თიბისი ბანკმა“ 2021 წლის 23 მარტს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინებაზე წარდგენილ კერძო საჩივარზე უარის თქმის შესახებ. სს „თიბისი ბანკის“ განცხადება დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2021 წლის 24 მარტის განჩინებით (საქმე N3ბ/115-21).

- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სს „საქართველოს ბანკის" სასარჩელო მოთხოვნა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ წარადგინეს სააპელაციო საჩივრები.

- საქმეს განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა (საქმე N3ბ/115-21).

- **ძირითად მხარეებს** შორის ამ **შეთანხმების** დადებასთან ერთად ფორმდება **მორიგების აქტი შეთანხმების** პირობების შესაბამისად. აღნიშნული **მორიგების აქტის** სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, **ძირითად მხარეთა** შეთანხმებით შეწყდება ადმინისტრაციულ საქმეზე N3ბ/115-21 წარმოება (შემდგომში - „**მორიგების აქტი**“).

შეთანხმების პირობები

წინამდებარე **შეთანხმების** გაფორმებით, **მხარეები** ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **ძირითადი მხარეები** თანხმდებიან, ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულება (შემდგომში - **განკარგულება**);

2. სს „საქართველოს ბანკს" აქვს **ხელშეკრულებით** მინიჭებული და განსაზღვრული ექსკლუზიური უფლება, **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილების (შემდგომში - **N20-81 დადგენილება**) მე-2 მუხლით დადგენილი, **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ყველა კატეგორიის მოქალაქეთათვის გამოსცეს და მართოს სამგზავრო პლასტიკური ბარათი, რომელიც შესაძლოა დამზადებული იქნეს როგორც **ხელშეკრულებით** განსაზღვრული სატრანსპორტო ბარათის, ასევე, საბანკო პლასტიკური ბარათის ან/და გადახდის სხვა საშუალებების სახით;

3. წინამდებარე **შეთანხმების** ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა) გამოსცემს განკარგულებას, **დადგენილების** მე-2 მუხლით განსაზღვრული, **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა სამგზავრო პლასტიკური ბარათების, მათ შორის, სატრანსპორტო და საბანკო პლასტიკური ბარათებისა ან/და გადახდის სხვა საშუალებების ექსკლუზიურად გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილ პირად სს „საქართველოს ბანკის" განსაზღვრის თაობაზე;

4. ამასთან, წინამდებარე **შეთანხმების** მე-2 პუნქტით განსაზღვრული, ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამონაკლისის სახით, სს „საქართველოს ბანკი":

   4.1. გონივრულ პირობებზე შეთანხმების საფუძველზე, **N20-81 დადგენილების** მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის (შემდგომში - **პენსიონერები**), მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გასაცემლების გაცემაზე უფლებამოსილ/დელეგირებულ (შესაბამისი ორგანოს მიერ გამოცხადებული კონკურსის ან სხვა ფორმით) კომერციულ საბანკო დაწესებულებას (შემდგომში - **უფლებამოსილი ბანკი**), საშუალებას მისცემს, რომ **უფლებამოსილი ბანკის** მიერ გაცემული საბანკო პლასტიკური ბარათის ან გადახდის სხვა საშუალებების (გარდა სატრანსპორტო ბარათისა, რომლის გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილია სს „საქართველოს ბანკი") მფლობელმა **პენსიონერებმა** ისარგებლონ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში;

   4.2. **უფლებამოსილ ბანკს**, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, საშუალებას მისცემს **ხელშეკრულების** მე-9 მუხლით დადგენილი და სს „საქართველოს ბანკსა" და **უფლებამოსილ ბანკს** შორის დამატებით განსაზღვრული გონივრული პირობების საფუძველზე, ჩაერთოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ღია სისტემაში.

5. სს „საქართველოს ბანკი" აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე **შეთანხმების** მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან დაკავშირებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისა" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ არ აქვს და არც მომავალში წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება;

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" იღებენ ვალდებულებას, **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, **N20-81 დადგენილების** მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ზ" ქვეპუნქტებით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით, **N6-25 დადგენილებით** გათვალისწინებული მონაცემები, მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფორმით, გადასცენ სს „საქართველოს ბანკს", ხოლო **N20-81 დადგენილებით** განსაზღვრული სხვა კატეგორიის მქონე პირების მონაცემებთან მიმართებით, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყონ სს „საქართველოს ბანკს" შესაბამისი მონაცემების **N6-25 დადგენილების** მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებისგან მოპოვებაში;

7. ამასთან, სს „საქართველოს ბანკი“, იღებს ვალდებულებას, წინამდებარე **შეთანხმების** მე-6 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების მიზნით, წინამდებარე **შეთანხმების** ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს **N6-25 დადგენილების** მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ იღებენ ვალდებულებას, სს „საქართველოს ბანკის“ მიერ **N6-25 დადგენილების** მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებისგან ინფორმაციის შეთანხმებული ფორმით მოპოვებამდე, უზრუნველყოფენ შესაბამისი კატეგორიის პირებისათვის სამგზავრო პლასტიკური (სატრანსპორტო) ბარათის დამზადებას და გაცემას;

8. სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას აქვს უპირობო და შეუზღუდავი უფლება, განსაზღვროს ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების პირობები და გამოუშვას ამგვარი აბონიმენტები **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დანერგილი ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების დამზადების, გაცემის და შემდგომი ტექნიკური მართვის უფლებამოსილება, გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა, ენიჭება მხოლოდ სს „საქართველოს ბანკს“, მისი სერვის-ცენტრების, გადახდის აპარატების ან სხვა საშუალებებით. სს „საქართველოს ბანკი“ ასევე აცხადებს, რომ რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, რომ რეზიდენტი და არარეზიდენტი საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო პლასტიკური ბარათის ან გადახდის სხვა საშუალებების (გარდა სატრანსპორტო ბარათისა, რომლის გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილია სს „საქართველოს ბანკი“) მფლობელებმა ისარგებლონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცემული ჯერადი და ვადიანი აბონიმენტებით **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ამასთან, რეზიდენტი და არარეზიდენტი საბანკო დაწესებულებების მიერ, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, სს „საქართველოს ბანკმა“ საშუალება უნდა მისცეს რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს, **ხელშეკრულების** მე-9 მუხლით დადგენილი და სს „საქართველოს ბანკის“ მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული პირობების საფუძველზე, ჩაერთონ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ღია სისტემაში **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში;

9. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ძირითადი მხარეები** თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დანერგილი ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების ექსკლუზიურად დამზადების, გაცემის და შემდგომი ტექნიკური მართვის უფლებამოსილება გულისხმობს ამგვარი აბონიმენტების ელექტრონული ან ფიზიკური ფორმით დამზადებას, გაცემას და შემდგომ ტექნიკურ მართვას ექსკლუზიურად სს „საქართველოს ბანკის“ სერვის-ცენტრების, გადახდის აპარატების ან სხვა საშუალებებით (მათ შორის, ელექტრონული ან ფიზიკური არხების მეშვეობით);

10. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად, სს „საქართველოს ბანკი“ ადასტურებს, რომ სხვა რეზიდენტ და არარეზიდენტ კომერციულ ბანკებს აქვთ უფლება, შეუზღუდავად, თავიანთი

შეხედულებისამებრ, საკუთარი ხარჯითა და რისკით განსაზღვრონ ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების პირობები და გამოუშვან ამგვარი აბონიმენტები, ხოლო სს „საქართველოს ბანკი“ ვალდებულია, **ხელშეკრულებით** დადგენილი პირობების საფუძველზე, ამგვარი ჯერადი და ვადიანი აბონიმენტები ჩართოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის სისტემაში ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

11. სს „საქართველოს ბანკი“ ასევე აცხადებს, რომ რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს უფლება აქვთ, რომ მათ მიერ გაცემული საბანკო პლასტიკური ბარათის ან/და გადახდის სხვა საშუალებების (გარდა სატრანსპორტო ბარათისა, რომლის გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილია სს „საქართველოს ბანკი“) მფლობელებმა უფასოდ იმგზავრონ შესაბამისი გადახდის ოპერაციიდან 90 (ოთხმოცდაათი) წუთის განმავლობაში, როგორც ეს განსაზღვრულია **N20-81 დადგენილების** მე-3 მუხლით ან/და ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით მომავალში პოტენციურად დადგენილი სხვა ნებისმიერი იდენტური/მსგავსი შინაარსის მგზავრობის შეღავათით (რაც არ მოიცავს **N20-81 დადგენილების** მე-2 მუხლით განსაზღვრულ, **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტში მითითებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფასო/შეღავათიანი მგზავრობის ტარიფებს/კატეგორიებს). ამასთან, რეზიდენტი და არარეზიდენტი საბანკო დაწესებულებების მიერ, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, სს „საქართველოს ბანკმა“ საშუალება უნდა მისცეს რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს, **ხელშეკრულების** მე-9 მუხლით დადგენილი და სს „საქართველოს ბანკის“ მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული პირობების საფუძველზე, ჩაერთონ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ღია სისტემაში **ხელშეკრულების** 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში;

12. **მხარეებს** შორის აღარ არსებობს ბუნდოვანება **ხელშეკრულების** პირობების განმარტებასთან დაკავშირებით და შემდგომში აღარ ექნებათ პრეტენზია **ხელშეკრულების** პირობების განმარტებაზე;

13. **ძირითადი მხარეები** აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათ არ აქვთ და არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება ერთმანეთის წინაშე, მათთვის **ხელშეკრულებისა** და ამ **შეთანხმების** საფუძველზე მინიჭებულ უფლებებთან, მათ ფარგლებსა და შინაარსთან დაკავშირებით, გარდა **ხელშეკრულებითა** და ამ **შეთანხმებით** ცალსახად და არაორაზროვნად განსაზღვრული უფლებებისა;

14. **მხარეებს** არ აქვთ და არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება ერთმანეთის წინაშე მათთვის **ხელშეკრულებისა** და წინამდებარე **შეთანხმების** საფუძველზე მინიჭებულ უფლებებთან, მათ ფარგლებსა და შინაარსთან დაკავშირებით, გარდა **ხელშეკრულებითა** და ამ **შეთანხმებით** ცალსახად და არაორაზროვნად განსაზღვრული უფლებებისა;

15. **მხარეები** აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათ არ აქვთ და არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება ერთმანეთის წინაშე, რაიმე სახის ზიანის, ზარალის,

მიუღებელი შემოსავლის ან/და სხვა თანხების/ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით სასამართლო საქმის (საქმე N3/6667-18) ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნებიდან/სადავოდ გამხდარი აქტებიდან გამომდინარე ან/და მათთან დაკავშირებით.

16. სს „თიბისი ბანკი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ მას **ძირითადი მხარეების** მიმართ არ აქვს და არც მომავალში წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება **ხელშეკრულებისა** და ამ **შეთანხმების** პირობებთან, ასევე, მათ საფუძველზე სს „საქართველოს ბანკისთვის“ მინიჭებულ უფლებებთან, მათ ფარგლებსა და შინაარსთან დაკავშირებით.

17. **ძირითადი მხარეები** აცხადებენ და ადასტურებენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე **დავა** წყდება ურთიერთშეთანხმებით, მორიგების დამტკიცების გზით. **მხარეები** თანხმდებიან, რომ ისინი უარს ამბობენ **დავის** ფარგლებში ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებაზე და მათ არ აქვთ უფლება ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, არსებითად იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

18. ამ **შეთანხმების** პირობების გათვალისწინებით, **დავაში** არსებულ და მისგან გამომდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებით, **მხარეებს** ერთმანეთის მიმართ, პრეტენზიები აღარ ექნებათ;

19. **ძირითადი მხარეები** თანხმდებიან, რომ წინამდებარე **შეთანხმების** გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, **მორიგების აქტი ძირითადი მხარეების** ერთობლივი განცხადებით მიმართვის გზით, სასამართლო ადმინისტრაციულ **საქმის** (N3/6667-18, სააპელაციო სასამართლოს საქმის N3ბ/115-21) მორიგებით შეწყვეტის მიზნით, წარედგინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მის დასამტკიცებლად.

20. **წინამდებარე შეთანხმება** ძალაში შედის **მორიგების აქტის** თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ დამტკიცებისა და **საქმის** შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

21. **ძირითადი მხარეები** არ გაასაჩივრებენ **ძირითად მხარეთა** შორის მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინებას და გამოთქვამენ თანხმობას, სასამართლოს განჩინების დაუყოვნებლივ კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე;

22. **მხარეები**, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიმართავენ ყველა ზომას წინამდებარე **შეთანხმებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად;

23. **ძირითადი მხარეები** აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათ შორის **მორიგების აქტი** ფორმდება წინამდებარე **შეთანხმებასთან** ერთად და მისი პირობების გათვალისწინებით.

24. **მხარეები** აცხადებენ და ადასტურებენ, რომ წინამდებარე **შეთანხმების** ხელმოწერის მომენტისათვის, **ძირითად მხარეებს** შორის 2021 წლის [●] ხელმოწერილი მორიგების აქტი და **მხარეებს** შორის 2021 წლის [●] ხელმოწერილი შეთანხმება ძალაში არ არის შესული და ისინი

მიიჩნევა გაუქმებულად **მორიგების აქტისა** და წინამდებარე **შეთანხმების** ძალაში შესვლისთანავე.

25. **შეთანხმებაზე მხარეთა** ხელმოწერები ფორმდება სანოტარო წესით, 5 (ხუთი) ეგზემპლარად, საიდანაც ერთ-ერთი ეგზემპლარი რჩებათ **მხარეებს**, ერთი ეგზემპლარი - შესაბამის ნოტარიუსს.

სს "საქართველოს ბანკის" წარმომადგენელი

_____

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი

_____

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" წარმომადგენელი

_____

სს „თიბისი ბანკის" წარმომადგენელი

_____